<u>მოხსენების სათაური:</u> **“In the World of Books”**

/ სასკოლო პროექტი კითხვის უნარ - ჩვევის განმტკიცებისთვის /

ლუიზა ლომჯარია

თბილისის 51- ე საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ინგლისური ენის ტრენერი

ინგლისური ენის წამყვანი მასწავლებელი

შესავალი: წიგნიერება და კითხვის მნიშვნელობა ინტელექტუალურ უნართა შორის ყველაზე აღმატებული უნარია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების აყვავების ხანაში კითხვამ ასე თუ ისე დაკარგა აქტუალობა, განსაკუთრებით სასკოლო ასაკში. კითხვა მართლაც არ არის ადვილი. არსებობს კითხვის სირთულის მრავალი მიზეზი, განსაკუთრებით მოსწავლეებში:კითხვა დამღლელია, არ ხდება საკითხავი ტეხსტის სწორად შერჩევა - ძალიან ძნელია ან ძალიან ადვილი და მოსაწყენია ტექსტი, ბავშვებს უჭირთ საკითხავ მასალაზე კონცენტრირება, უდროობას უჩივიან, ისინი ადვილად იღებენ მზამზარეულ ინფორმაციას ტელევიზორიდან ან კომპიუტერიდან და სხა - მრავალად შეიძლება მიზეზების ჩამოთვლა. პროექტის თემის აქტუალობა სწორედ ამ პრობლემებმა განაპირობა. ჩვენი აზრით ეს არის კითხვის უნარ - ჩვევის დამკვიდრება და განვითარება სასკოლო ასაკში და კითხვის პროცესის წახალისება მოსწავლეებში. პროექტის თემის დაგეგმვისას გამოიკვეთა პროექტის მიზნები, კერძოდ: ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავება, კითხვის კულტურის მოტივაცია კითხვისა და დამატებითი ღონისძიებების შედეგად, მოსწავლეების, მშობლებისა და პედაგოგების ჩართვა პროექტში, კერძოდ თარგმანში მუშაობა, დასკვნით კონფერენციაში მონაწილეობა და მოსწავლეების მიერ სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვა.

მეთოდები და პროცესის მოკლე აღწერა: პროექტის დაწყებისთანავე შეიქმნა კომისია სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისაგან, სულ 25 წევრი, კომისიაში შემავალი მოსწავლეების შერჩევა მოხდა კლასებში მოსწავლეთა მიერ. განისაზღვრა პროექტის ვადები- 2013 წლის ოქტომბერი-2014 წლის აპრილი. პროექტი მიეძღვნა უილიამ შექსპირის დაბადების დღესა და მსოფლიო წიგნის დღეს.

კონკურსის ნომინაციები:

1. ყველაზე მეტი წაკითხული წიგნი ინგლისურ ენაზე
2. მხატვრული გამონათქვამების, იდეომების, ანდაზების, აფორიზმების კონკურსი
3. მწერალთა ბიოგრაფიები
4. ინგლისური პოეზია
5. საუკეთესო ესეს ან თხზულების ავტორი
6. შექსპირის სონეტების მხატვრული კითხვა
7. საუკეთესო თარგმანი
8. პოსტერების კონკურსი
9. საუკეთესო ინსცენირება
10. სასკოლო კონფერენცია

მოსწავლეებს უნდა ესარგებლათ სასკოლო ბიბლიოთეკით. სკოლას აქვს მდიდარი წიგნადი ფონდი, ე.წ.Reader-ები, რომელთა დიდი ნაწილი საჩუქრად მივიღეთ ბრიტანეთის საბჭოსაგან

2009 წელს მკითხველთა კონკურსში „Reading Voyage“-ში გამარჯვებისათვის და ამერიკული საბჭოებისაგან სხვადსხვა კონკურსში პირველობისათვის. მოსწავლეებს შეეძლოთ ესარგებლათ საკუთარი ბიბლიოთეკითაც.

მონაწილეთა ასაკი განისაზღვრა IV----XII კლასით.

საკმაოდ რთული იყო ისეთი მოქნილი შეფასების რუბრიკის მოფიქრება, რომელიც სრულად განსაზღვრავდა წაკითხვის ხარისხს და ნომინაციებში გამარჯვებას დაასაბუთებდა. ვთხოვეთ მასწავლებლებს შეექმნათ რუბრიკები მოსწავლეების მონაწილეობით. შემოგთავაზებთ რამოდენიმე მათგანს:

(1) <u>Assessment Questionnaire:</u>

- Something surprising in your book
- Something about the book that made you feel happy
- The cover –did it give you a good idea of what the book is about
- The most disgusting thing in your book
- The ending – was it the way you expected it to be
- Something scary in the book
- Something sad in your book
- Your favorite character
- Your favorite picture
- The most interesting fact in your book
- The best bit in your book

(2) <u>How to Check Reading</u>

- The title of the book
- The author of the book
- The period of time the book is about
- Main characters of the book
- The episode you liked most of all
- New words on the word cards / 25 from each book /

(3) <u>Fact-Finders</u>

- What is the title?
- Who is the author?
- Who is in the story?
- When does the story happen?
- Where does the story happen?
- What are the most exciting things that happen?

(4) <u>Text Analyze</u>

- The title of the book
- The author of the book
- I understand---------- .
- I can’t understand---------- .

(5) Book Review

- What is the name of the book?
- Who wrote the book?
- Number the stars (1-boring; 5- fantastic)
- What is the book about?
- Who is your favorite character in the book and why?
- Would you tell someone else to read this book? (Why or why not?)

(6) Story Summary

- Make up a new title for the story
- Write a sentence about the main character
- What is happening in the story?
- How is the situation in the story solved?
- What happens at the end of the story?

სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის შეირჩა შეფასების სხვადასხვა ფორმა. ვინაიდან პროექტი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდენარეობდა ჩვენს მიერ მიწოდებული იყო შუალედური შეფასების ფორმა კითხვის პროცესზე დაკვირვებისათვის:

(7) Check the box that indicates how you read.

1. I think about what I already known on the topic /often, sometimes, almost never /
2. I make predictions and read to find out if I was right /often, sometimes, almost never /
3. I reread the sentences before and after a word I do not know/often, sometimes, almost never /
4. I ask another student for help /often, sometimes, almost never /
5. I look for the main idea /often, sometimes, almost never /
6. I take notes /often, sometimes, almost never /
7. I discuss what I read with others /often, sometimes, almost never /
8. I stop and summarize /often, sometimes, almost never /
9. I choose books from the library on my own /often, sometimes, almost never /
10. I make outlines of what I read /often, sometimes, almost never /

პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში დრო და დრო ვიყენებდით კითხვის პროცესის შემაფასებელ სხვადასხვა კითხვარს.

ბიბლიოთეკიდან წიგნების გატანის ინტენსივობას და გატანილი წიგნების კითხვის ხარისხს ამოწმებდნენ კომისიის წევრები წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით ყოველი კვირის ხუთშაბათს, 14 საათზე, სკოლის ბიბლიოთეაში.

დეკემბრის თვე გამოცხადებული იყო თეატრალური დადგმებისა და წარმოდგენებისათვის. გაიმართა ხუთი სპეკტაკლი, გამარჯვება მოიპოვა დადგმამ „The Happy Prince" by Oscar Wilde. (აფიშა და მოსაწვევი წარმოდგენილია სლაიდზე)

პროექტი დასრულდა სასკოლო კონფერენციით, რომელზედაც მოხდა მონაწილეთა დაჯილდოება სერტიფიკატებითა და წიგნებით, კითხვაში წარმატებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ორდღიანი ექსკურსიით ქუთაისში.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ პედაგოგებიც, მათ წარმოადგინეს თარგმანები, პირველი ადგილი დაიკავა ქალბატონმა ქეთევან კირვალიძემ თარგმანისათვის „საქართველოს მოამბის შესახებ.“

შედეგი: პროექტის მთავარ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ * მოხდა კითხვის პროცესის წახალისება, *ინგლისური ენის ცოდნის დონის გაღრმავება, მოსწავლეები თავისუფლად მსჯელობდნენ და საუბრობდნენ წაკითხული წიგნების შესახებ, *კითხვის კულტურის მოტივაცია კითხვისა და დამატებითი ღონისძიებების შედეგად, *მოხდა როგორც ბავშვების ასევე მათი მშობლების ჩართვა პროექტში, *წაკითხული წიგნების გაცვლის შედეგად ბავშვები თვითონ ხდებოდნენ საუკეთესო რესურსი ერთმანეთისთვის აზრის გაზიარების დროს *ბავშვებმა თავად დაგეგმეს აქტივობები, *შეადგინეს კითხვარები, *შექმნეს პოსტერები და სპეციალური კუთხეები, *მთლიანად აითვისეს სასკოლო ბიბლიოთაკის წიგნადი ფონდი ინგლისურში, *მასწავლებლებთან ერთად მოამზადეს სპეკტაკლები, *მონაწილეობა მიიღეს სასკოლო კონფერენციაში, *მეოთხე, მეხუთე კლასებში მოეწყო ნაწარმოების გმირებისა და ნაწყვეტების ამსახველი გამოფენა, *რაც მთავარია სკოლის 2700 მისწავლიდან პროექტში მონაწილე 1235 მოსწვლე გახდა უფრო თავდაჯერებული მკითხველი, *კონფერენციაზე გადაწყდა სკოლის ინგლისური ენის კლუბის შექმნა-ELC, შევიმუშავეთ კლუბის წესდება, შევქმენით ე.წ. ფლაერები,რაც სლაიდზეა წარმოდგენილი.

დასკვნა: ჩვენი აზრით პროექტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლებისა და კითხვის პროცესის წახალისებისათვის, მოსწავლეთა მოტივაციისათვის, სასკოლო პროცესში მასწვლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობისათვის, კითხვის პროცესის ორგანიზებულობისა და სისტემატურობისათვის, პროექტს ჰქონდა ერთგვარი შეჯიბრის ფორმა, რაც კიდევ უფრო მეტად სახალისოს ჰქმნიდა კითხვის პროცესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Jeremy Harmer “Reading at the School Age”/Pearson, Longman, 2012/
2. Adrian Doff “Teaching English in a Fun Way” /Cambridge University Press/
3. Harry K. Wong & Rosemary T. Wong “How to be an Effective Teacher” /Harry K. Wong Publications, Inc/
4. www.effectiveteaching.com
5. www.circus-stars.org.uk
6. www.readingvoyage.org.uk
7. www.teachingenglish.org.uk
8. www.teachngresources.org
9. www.kidsenglish.org.uk